საქართველოს სოციალდემოკრატიული მუშათა პარტია. პარასკევი, 13 ივნისი 1919 წ. პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით! № 128

ერთობა

ფასი 1 მან.

გაზეთის ფასი: 1 თვით 25 მანეთი, ცალკე ნომერი ყველგან 1 მანეთი. განცხადების ფასი როგორც პირველ გვერდზე, ისე მეოთხეზე პეტიტის სტრიქონი—2 მან. სამგლოვიარო განცხადება 20 მანეთი. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პროსპექტი № 24

ტელეფონი 16—62

ორგანო საქართველოს სოციალდემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა.

უსაზღვრო მწუხარებაში მყოფნი: მეუღლე ტერეზა მიხეილის ასული; შვილები: გაიოზა, ელენე და ნუკზარი; დედა ელისაბედი; ძმები: იესე, პეტრე, ლევან და ერმალოზ; რძლები: ანნა, ელენე და ივდუკი კოპლატაძენი, დაი კესარია, სიძე სიო ალმასხანის ძე ნიკოლაიშვილი შვილებით გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ, რომ შაბათს 14 ივნის (ახ. სტ.) დილის 12 ს. სოფ. ბასილეთში წმინდა ვასილის ეკლესიაში დანიშნულია ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი მათი ძვირფასის და დაუვიწყარის

კირილე გაბრიელის ძე კოპლატაძის

სულის მოსახსენებლად. (1—1)

ღრმად დამწუხრებულნი შვილები: კოსტა, ემილიანე, ბიქტორი, მელქისედეკი და იასონ, რძლები მარგალიტა და ანიჩკა კახიანები და სიძე გრიგოლ [illegible] მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ პირველი ხუთის საყვარელ და დაუვიწყარ დედის, მეექვსე და მეშვიდე დედამთილის და მერვე სიდედრის

ეკატერინე (ეკა) სოლომონის ასულის კახიანის

გარდაცვალებას. დასაფლავება მოხდება სოფ. ჯ. [illegible] ქუთ. მაზ.

დაიბეჭდა და გამოვიდა გასაყიდათ **გალაკტიონ ტაბიძის**

ლექსების II ტომი

წიგნი პირველ ხანებში გაიყიდება შემდეგ ადგილებში: სასახლეში, [illegible] ნაწილში, და გაზ. „ერთობის" და „საქართველოს რესპუბლიკის" რედაქციებში.

იბეჭდება:

თამუნა

წიგნი I

მუშათა კონფერენცია

ლენინკინის საფრთხე [illegible] დემოკრატია ფეხზე დააყენა. ერთი შეხედვით თითქო წაიშალა წინანდელი პარტიული განსხვავებანი. ლენინკინის ლაშქარი ყველას ერთნაირათ უქადის სიცოცხლის მოსპობას. ბოლშევიკ-კომუნისტს და სოციალდემოკრატს იგი ერთ ბოძზე ჩამოჰკიდებს, თუ კი ხელში მოიგდო. აი ამიტომ შეიძრა მუშათა კლასი თავის კლასიურ მოსისხლე მტრის წინააღმდეგ.

მოკლე ხანში უნდა შეიკრიბოს მუშათა კონფერენცია, რომელიც მუშათა კლასის აზრს და შეხედულებას შეიმუშავებს ამ საპირბოროტო საკითხზე.

და ჩვენ გვინდა ეს კონფერენცია გადაიქცეს მუშათა კლასის ნამდვილ ელემენტათ, ერთობით შემადუღებლად, ერთსულოვნების სიმბოლოდ და მაჩვენებლად.

მხოლოდ ამ დიდი მორალური ძალის და ერთობის გამოჩენით შეაკრთობს იმ ლენინკინის შავ ძალას, შეაშფოთებს მის სულისკვეთებას და გასტეხს წელში. რა არის ამისთვის საჭირო? დიდი ხანია მუშათა წრეებში ძლიერი განხეთქილება სუფევს. დიდი ხანია მის სხვადასხვა მიმდინარეობანი ერთმანეთს სამკვდრო სასიცოცხლოთ ებრძვიან. კალმის კრიტიკას, ხმლით კრიტიკაც მოყვა მათ შორის. იდეურ ბრძოლას აჯანყების მოწყობა და შეიარაღებული შეტაკებები. ბრძოლა გეგემონიისთვის გადაიქცა სისხლიან ბრძოლათ.

და აი ამ განხეთქილების მოუშუშებლობის იმედი აქვს ჩრდილოეთის შავ გენერალს, რომელიც მუქარით მოდის ჩვენკენ. მაგრამ დემოკრატიამ უნდა გაუცრუოს მას იმედები. რომ განხეთქილებამ თავი არ იჩინოს და ერთსულოვნობა შეუძლებელი გახდეს, წინდაწინ საჭიროა მთავარმა პოლიტიკურმა მიმდინარეობებმა მოძებნონ საერთო პლატფორმა, საერთო ხაზი, საერთო ენა, თუნდ მხოლოდ ლენინკინთან ბრძოლის პროცესში. იდეურ გაერთიანებაზე ლაპარაკი ზედმეტია, ეს შეუძლებელია ისე, როგორც შეერთება მეცნიერების და უტოპიის, წესიერების და ანარქიის. მაგრამ შეიძლება შეერთება საფრთხის თავიდან ასაშორებლად. ლენინკინმა უნდა იცოდეს, რომ იგი ყველასთვის ერთნაირათ მიუღებელია, იცოდეს, რომ მის წინააღმდეგ ყველანი ერთი არიან, ვისაც კი უყვარს თავისუფლება და ადამიანური ცხოვრება.

და თუ ეს გვსურს, უნდა მივიღოთ და გავიაროთ ყველა ის პირობები, რომელიც საჭიროა ლენინკინთან საბრძოლველად.

გადავხედოთ ამ მხრივ ამიერ-კავკასიის მდგომარეობას.

მთავარი ძალა ლენინკინის წინააღმდეგ—ეს არის დემოკრატია საქართველოსი. ეს უდაოა. ამ დემოკრატიას აქვს თავის რესპუბლიკა, ყავს დამფუძნებელი კრება და მისი არჩეული სოციალისტური მთავრობა, რომელიც ხელმძღვანელობს ამ ბრძოლას, ყავს ჯარი და გვარდია შეიარაღებული, გაწვრთნილი, რომელიც დაუდგება წინ ლენინკინის ლაშქარს.

ცხადია, ამ დემოკრატიისთვის ბრძოლის [illegible] მოკრიბოს თავის დამფუძნებელ კრების და მთავრობის გარშემო, გაუმაგროს მას ზურგი, გაამხნევოს ის და ასე გამარჯვებისაკენ გზა გაუწმინდოს.

ყოველი ძალა, რომელსაც სურს ლენინკინის შემუსვრა და საქართველოს დემოკრატიის დახმარება, ცხადია, მის ორგანოებს უნდა ამოუდგეს გვერდში, ამ მთავრობასთან ერთად იბრძოლოს, მას დაეხმაროს. ჩვენ ვიცით, რომ რევოლუციური ფრაზით და ანარქიული სულის კვეთებით გატაცებული ნაწილი დემოკრატიისა, დემოკრატიზმს ალმაცერად უყურებს, დამფ. კრება და სოციალისტური მთავრობა, უკვე დრო გადასული ჰგონია. ვიცით, რომ მათ ნაცვლად ანარქისტულ, ანტი სახელმწიფოებრივ პრინციპს აყენებენ—საბჭოთა მთავრობას. ე. ი. მთავრობას სამოქალაქო ომისა და ანარქიისა. ჩვენ გვინდა ამ ლტოლვილებას ანგარიში გავუწიოთ. მათ არ შეგვიძლია მოვთხოვოთ ჩვენს იდეურ პოზიციაზე გადმოსვლა. ეს არც შესაძლებელია და საჭიროც არ არის.

მაგრამ ერთი რამ კი მიუცილებელია. საქართველოს მუშათა საბჭოების მიერ შექმნილი დაწესებულებანი, ე. ი. დამფუძნებელი კრება და მისი მთავრობა, უნდა ცნობილ იქნენ ლენინკინის წინააღმდეგ ბრძოლის პროცესში. მათ წინააღმდეგ აგიტაცია უნდა შეჩერდეს, მათ წინააღმდეგ ბრძოლა უნდა მათდამი დახმარებით შეიცვალოს.

საქართველოს საბჭოები ასე იქცევიან, თავის მთავრობას და დამფუძნებელ კრებას ეხმარებიან. და ვინც ამაში მათ მხარში ამოუდგება, თუნდ ამ ხანათ ლენინკინის წინააღმდეგ ბრძოლის პროცესში, იგი ამით ნამდვილი მეგობარი შეიქნება. ვინც ამის წინააღმდეგ წავა—იგი აშკარათ ფეხებში შეებორკება მას, შინ გაუჩენს ფრონტს, აქ დაასუსტებს და ამით არსებითათ ლენინკინის მიზანს შეუწყობს ხელს. საბჭოთა მთავრობა ჩვენში არსად არ არსებობს, და ვარგა, თუ არ ვარგა, იგი მაინც ვერ იმოქმედებს. ცხადია საბჭოთა მთავრობის იდეით გამოსვლა ნიშნავს, არსებულ, მუშათა მიერ შექმნილ ორგანიზაციების წინააღმდეგ ბრძოლას, მათ დასუსტებას, დაუძლურებას. ჩვენ ამას უნდა გავუფრთხილდეთ ბეჯითათ.

ვინც ჩვენთან არ არის, ის ჩვენი წინააღმდეგია. ვინც ფეხებში გვებორკება, თუნდ უმაღლესი სოციალისტური ლოზუნგების სახელით, იგი მხოლოდ ანარქიის, არევ-დარევის მოსურნეა.

ჩვენ უნდა დავგმოთ ამჟამათ ყოველი ასეთი გამოსვლები, უნდა შევერთდეთ, გავერთიანდეთ დამფუძნებელი კრების და მისი მთავრობის გარშემო. მუშათა კონფერენციაც მხოლოდ მაშინ იქნება ნაყოფიერი და მიზანშეწონილი, თუ მისი მონაწილენი წინდაწინვე მიიღებენ ამ საერთო პლატფორმას, როგორც ერთად ერთ პრაქტიკულს და გამოსადეგს სადღეისო ბრძოლაში ლენინკინის წინააღმდეგ. მომავლის საუკეთესო მოწყობაზე, ე. ი. საბჭოთა თუ დამფ. კრ. მთავრობის უკეთესობაზე, მაშინ დავიწყოთ დავა, როცა ლენინკინი გადარეკება დედამიწის პირიდან, და მუშათა კლასს ექნება საშუალება და დრო უფრო გულდასმით გასინჯოს კბილი ანარქიზმის და სოციალიზმის.

უცნაური გაუგებრობა

უცნაური გაუგებრობა გამოიწვია ჩვენმა წერილმა ლენინკინის და ბოლშევიკების შესახებ. ამ წერილში ჩვენ ვწერდით, რომ ლენინკინი და ლენინი—ორივე მტერია ჩვენი, თუმცა სხვა და სხვა სახით გვევლინებიან და ასეთ პირობებში ჩვენი ერთად ერთი გზაა—დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა.

ეს მარტივი აზრი განსაკუთრებით ვერ შეუთანხმებიათ იმ შეხედულებასთან, რომელიც ჩვენ 26 მაისის დღესასწაულის გამო გამოვთქვით: მაშინ ჩვენ ვთქვით, რომ დამოუკიდებლობა ჩვენთვის არ არის ფეტიში, კერპი, რომელსაც ყოველ დროს და ყოველს პი[illegible] არის თა[illegible]ცემდით. [illegible] შორის? სრულებით არაფერი. ჩვენ მუდამ იმას ვფიქრობდით და დღესაც ვფიქრობთ, რომ დამოუკიდებლობა არ არის ფეტიში და შეიძლება დადგეს ისეთი პირობები, რომ რომელიმე მეზობელთან შეერთება ვისურვოთ. მაგრამ დღევანდელ პირობებში, როცა რუსეთში ანარქია მძვინვარებს და ამ ანარქიის გამომწვევ ორ ძალასთან—ლენინ-ლენინკინთან გვაქვს საქმე,—ჩვენ ყოვლად შეუძლებლად ვთვლით რაიმე სახელმწიფოებრივ კავშირის გაბმას როგორც ერთს, ისე მეორე ძალასთან, როგორც „წითელ" ლენინთან, ისე „შავ" გენერალ ლენინკინთან.

ასეთია ჩვენი მოქმედების პრაქტიკული გზა. და თუ ოდესმე დადგება ისეთი ხანა, რომ ანარქისტ ლენინის და მონარქისტ ლენინკინის ადგილს დაიჭერს სხვა, ჩვენთვის მისაღები ძალა, თუ გაბატონდება ნამდვილი დემოკრატია, რა გვექნება წინააღმდეგი ამ დემოკრატიის. პირიქით დიდის სიხარულით გაუწვდით მას ძმურ ხელს. ჩვენ სწორედ იმით განვსხვავდებით ნაციონალისტებისაგან, რომ ეროვნულ ზღუდეს გავლება არ არის ჩვენი იდეალი, სახელმწიფოებრივ წყობილების ფორმა ჩვენთვის მხოლოდ საშუალებაა დემოკრატიის გასავითარებლათ და დროისა და გარემოების მიხედვით ვაძლევთ უპირატესობას ამა თუ იმ ფორმას.

ამიერ-კავკ. რესპუბლიკათა კონფერენცია

9 ივნისი. დილის სხდომა.

(დასასრული)

თავმჯდომარეობს ევ. გეგეჭკორი.

ხან-ხოისკი. ის საფრთხე, რომლის შესახებ აქ იყო ლაპარაკი შესაძლებლობის სფეროში კი არ იმყოფება, არამედ—რეალური სინამდვილეა, საკითხი კავკასიის რესპუბლიკათა და მის ერთა სოლიდარობის შესახებ ახალი არ არის, ეს საკითხი უნდა სდებოდა საფუძვლათ თვით იმ კონფერენციის მუშაობასაც, ამ ჟამად კი ამ საკითხმა მიიღო კონკრეტული გამოხატულება და ჩვენ გარკვეული პასუხი უნდა გავცეთ საქართველოს დელეგაციის მიერ წარმოდგენილ წინადადებაზე. აქ ლაპარაკობდენ იმის შესახებ, თუ რა იყო ერთი წლის წინათ! ერთი წლის წინათ იყო ის პერიოდი, როცა [illegible] იქნა ამოწყვეტილი ბაქოში და აზერბეიჯანის სხვა მხარეებში. ეს იყო პერიოდი ცეცხლის და მახვილისა და აი, ამ პერიოდში აზერბეიჯანის წარმომადგენლებმა სთქვეს, რომ უცხო ძალის დაუხმარებლივ მათ არ ძალუძთ თავის ერის გადარჩენა ფიზიკური განადგურებისაგან. და განა ეს უნდა ჩაითვალოს საერთო საქმის ღალატათ? არა! ჩვენ იმ თავითვე ვიდექით დამოუკიდებლობის ნიადაგზე და ჯეროვან ღირსებით შევინარჩუნეთ იგი. დღეს ლაპარაკობენ, რომ საფრთხე ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდანაც გველის. მე ეს არ მეგონა. დღეს თვით ოსმალეთს ნაკუწ-ნაკუწ სწყვეტენ და ასეთს სახელმწიფოს განა შეუძლია სხვის წინააღმდეგ გაილაშქროს?

და თუ ეს მოხდა, დარწმუნებულნი ვართ, რომ ჩვენი მთავრობა და პარლამენტი თქვენთან იქნება მათ წინააღმდეგ ბრძოლაში.

ხ. ტიგრანიანი. მე მინდა მოვიყვანო ერთი განმარტება ამ 12 დღის შესახებ, რომელზედაც აქ ლაპარაკობდენ: ფოსტა-ტელეგრაფის მოუწყობლობა მთავარი მიზეზია იმისა, რომ ჩვენ ვაგვიანებთ კავშირის გაბმას ჩვენ მთავრობასთან. რაც შეეხება საკითხის არსებით მხარეს, მე უნდა განვაცხადო, რომ დამოუკიდებლობის დაცვა გულისხმობს ტერიტორიის დაცვას და როგორ გსურთ ამ ტერიტორიის დაცვა, როდესაც ტერიტორიალური გამიჯვნა არ მომხდარა. თქვენ იცით, ალბათ, ყარაბახში მომხდარი ამბები და ეპიზოდები, ვინ უნდა დაიცვას იგი: აზერბეიჯანმა, თუ სომხეთის ჯარმა? ვინაიდან ეს საკითხები სრულიად არ გადაწყვეტილა, ლაპარაკი საერთო გამოსვლისათვის, ჩემის აზრით, სრულიად გართულდება. [illegible] საკუთარი ერთა ინტერესები: როგორ უნდა დავიცვათ საერთო ინტერესები, რომლებსაც არსებობს სადავო საკითხები? ჯერ უნდა გადაიჭრას საერთაშორისო განწყობილება, მხოლოდ შემდეგ შეიძლება საერთო ენის გამოძებნა. ბ-ნ ნოე რამიშვილმა აქ ახსენა „წვრილი საკითხები" როგორც რკინის გზის საკითხია, მაგრამ მე ვაცხადებ, რომ ეს საკითხი ჩვენთვის მეტად მნიშვნელოვანია.

ნ. რამიშვილი. მე მინდა განვაცხადო აქ ერთი შენიშვნის გამო. ყველგან urbi et orbi, სომხების წარმომადგენლები ლაპარაკობენ, რომ ოსმალთ შემოსევის დროს ჩვენის გამოისობით სომხები დაიღუპნენ, ამასვე გაიძახიან საზღვარ გარეთაც. ეს მართალი არ არის. ქართველი ერი პირნათლად იცავდა უფლებებს და ამიერ-კავკასიის ინტერესებსაც. 24 მაისს, საკითხი რამდენათმე სხვა გვარათ იყო დასმული და საქმე 12 დღეში არ არის, თუმცა, მე მგონია, ეს საკითხი არ არის დაკავშირებული არც [illegible] კონფერენციასთან და ამ კონფერენციას ჩვენ ყოველთვის ვიცავდით.

საქმე იმაშია, თუ რას ვიცავთ და როგორ ვიცავთ. რასაკვირველია, უტერიტორიოთ დამოუკიდებლობა არ არსებობს, მაგრამ ტერიტორიალური დავის დროსაც შესაძლებელია საერთო გამოსვლა. დასამტკიცებლათ ამისა მე მოვიყვან პოლონელთა და უკრაინელთა მაგალითს, მიუხედავად იმისა, რომ მათ მრავალი ტერიტორიალური სადავო საკითხები ჰქონდათ, ბოლშევიკების შემოსევის დროს, ეს საკითხები განზე დასტოვეს და შეკავშირებული გამოვიდნენ საერთო მტრის წინააღმდეგ. და თუ ხვალ მტერი შემოგვესია, თქვენ იტყვით, რომ ჩვენ დავიცვათ [illegible] მაზრებს, ხოლო თქვენ არზრუმის ვილაიეტს დაიცავთ? ეს არ არის სახელმწიფოებრივი პოლიტიკა. სადავო საკითხების გადასაწყვეტათ ჩვენ მიღებული გვაქვს არბიტრაჟის პრინციპი. საფრთხე ჩრდილოეთიდან გველის თუ სამხრეთიდან, ჩვენთვის განსხვავება არ არსებობს: ამ შემთხვევაშიაც ჩვენ თქვენთან ვიქნებით. ლენინკინი დღეს ასეთსავე საფრთხეს წარმოადგენს და ისევე უქადის ჩვენს ხალხს ფიზიკურ განადგურებას, როგორც შარშან ოსმალეთი გვიქადდა. დღევანდელი მომენტი მოითხოვს ჩვენი ფრონტების გაერთიანებას, მტრის წინააღმდეგ.

დღეს

მოკავშირეთა სარდლობამ კიელში შესვლის ნება არ მისცა გერმანელ დეპუტატებს უნივერსიტეტის გახსნის დღესასწაულზე დასასწრებლად.

ოთხთა საბჭომ განიხილა უნგრეთის ჯარების ჩეხო-სლოვაკების ტერიტორიაზე შესვლის შესახებ მოხსენება.

ოსმალეთის საზავო დელეგაცია პარიზს მივიდა.

ბოლშევიკების ცნობით საფრანგეთში და იტალიაში დიდი გაფიცვებია.

ფინეთსა და ესტონეთს შორის უთანხმოება იზრდება.

სამხრეთის ფრონტზე საბჭოთა ჯარმა დასტოვა ბერდიანსკი და ჩერტკოვო. ცარიცინის რაიონში მკაცრი ბრძოლაა.

თავმჯდომარე აცხადებს, რომ კამათი საკითხის შესახებ დასრულებულია.

სომხების დელეგაცია აცხადებს, რომ კონფერენციაზე გამოთქმული მოსაზრებანი უნდა წარუდგინონ თავიანთ მთავრობას და ითხოვენ, რომ კონფერენციის სხდომები ერთი კვირით იქნას შეწყვეტილი.

ამიერ-კავკასიის კონფერენციის სხდომები ერთი კვირით შესწყდა. სომხეთის დელეგაცია გუშინ ერევანში გაემგზავრა.

დამფუძნებელი კრება

10 ივნისის სხდომა.

თავმჯდომარეობს ექვთ. თაყაიშვილი.

ო. ხოლოლაშვილის მოხსენებით მიღებულ იქნა საბოლოო ტექსტი კანონისა—დაზარალებულ მეომართა და იმათი ოჯახების დახმარების შესახებ და დეკრეტისა,—თფილისის ქალაქის თვითმართველობისათვის 10 მილიონი მანეთის სესხად მიცემის შესახებ.

ივ. ჭავჭანიძის მოხსენებით ზოგადათ განხილულ იქნა კანონ-პროექტი საშუალო სასწავლებელთათვის არსებულ ავანსის 150 მ. 1000 მანეთამდე გადიდების შესახებ.

მასწავლებელთა კურსები.

თ. კიკვაძე მოახსენებს კრებას კანონ-პროექტს პირველ-დაწყებითი სკოლებისათვის მას[illegible] შესახებ. მომხსენებელი, აღნიშნავს რა სახალხო განათლების სამინისტროს მიერ განზრახულ საყოველთაო სწავლის შემოღებას 1 სექტემბრიდან, საჭიროდ აღიარებს მასწავლებელთა კადრის შექმნას. კანონ პროექტის ძალით უნდა გაიხსნას საზაფხულო კურსები 250 მასწავლებელთათვის განუსხვავებლად ეროვნებისა. თითეულ მასწავლებლის თვიური ხარჯათ ნავარაუდევია 600 მ. ხაზინამ უნდა გაიღოს ამ საქმისათვის სულ 884 ათასი მანეთი. კურსები გაიხსნება 10 ივნისს და გაგრძელდება 10 აგვისტომდე.

გ. ნათაძე (ს. რ.) საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სახელით მოითხოვს 400 მანეთი გადადებულ იქნას სახელმწიფო ხაზინიდან, 200 მან. კი ერობებმა გაიღონ. ორატორი დასძენს, რომ თუ ამ ჟამად ერობებს საშუალება არ შესწევთ ეს ფული გადაიხადონ, ამ შემთხვევაში მათ ეს თანხა დაეკისროს ვალად.

ლ. ნათაძე (ს.-დ.) წინააღმდეგია გ. ნათაძის წინადადების და ამტკიცებს, რომ არ შეიძლება ერობებს დაეკისროს ეს თანხა, ეს საქმე სახელმწიფომ უნდა ითავოს, როგორც საყოველთაო სწავლების შემოღება და ამიტომ სახელმწიფო ხაზინიდან უნდა იქნას გაღებული ყველა ხარჯები კურსების მოსაწყობათ.

ილ. ფირცხალაშვილის მოხსენებით ზოგადათ განხილულ იქნა კანონ-პროექტი ქუთაისის სავანგებო სასამართლოს შტატის დამტკიცების შესახებ.

ი. არეშიშვილი მოახსენებს კრებას დეკრეტის პროექტს საზღვარ გარეთ ვაჭრობის საქმის მოსაწესრიგებლად საჭირო ხარჯისათვის 2 მილიონ მანეთის კრედიტის გახსნის შესახებ. მომხსენებელი აღნიშნავს აუცილებელ საჭიროებას საზღვარ გარეთ ვაჭრობის მოწყობისა და ამბობს, რომ დეკრეტის ძალით საზღვარ გარეთ უნდა გაიგზავნოს 6 კაცისაგან შემდგარი დელეგაცია საქონლის გაცვლა-გამოცვლის მოსაწესრიგებლად. დელეგაცია პირველად იტალიაში მივა, შემდეგ კი სხვაგან.

ი. ნუცუბიძე აცხადებს, რომ ს.-რევოლიუციონერების ფრაქციას, დეკრეტის იმ სახით მიღება, როგორც არის წარმოდგენილი, შეუძლებლად მიაჩნია, რადგანაც არ არის კონკრეტიულად ნაჩვენები, თუ რა მიზნით მიემგზავრება დელეგაცია საზღვარ-გარეთ და ვინ შევა დელეგაციაში.

დ. ონიაშვილი აღნიშნავს, რომ დელეგაციის მიზანია ადგილობრივად გაცნობა ვაჭრობა-მრეწველობის საქმისა და რამდენათ შეიძლება მოეწყოს საქონლის გაცვლა გამოცვლისა. ამ დელეგაციაში შევლენ მცოდნე პირები. დელეგაციას შეადგენს მთავრობა. სოც. დემოკრატიული ფრაქციის აზრით დელეგაციის გაგზავნის საჭიროება პრინციპიალურად უნდა იქნას აღიარებული.

მუხლობრივი განხილვის შემდეგ დეკრეტი [illegible]

სომხეთში

აჭარა და სომხეთი.

ერევნის გაზეთ „აშხატანკიდან" თფილისის „აშხატავორ"-ში გადმობეჭდილია შემდეგი ცნობა: „ყარსში მოვიდნენ აჭარის წარმომადგენლები და სომხეთის მთავრობას განუცხადეს, რომ რადგანაც არ მოხერხდა კავკასიის სამხრეთ დასავლეთის სახელმწიფოს განხორციელება, ამიტომ აჭარამ დაადგინა არ შეუერთდეს საქართველოს, რადგანაც საქართველო სდევნის აჭარაში მუსულმანთა ენას, სარწმუნოებას და ს. ხ. აჭარას სურს შეუერთდეს სომხეთს და მიიღოს ავტონომია".

ოლთისის ოლქში.

სომხეთის პარლამენტში მთავრობის სახელით ა. ი. ხატისოვმა განაცხადა, რომ „ოლთისის ოლქში 400 მდე ასკერი იმყოფება და 1000 მდე ადგილობრივი მცხოვრები მუსულმანი შეიარაღებული სომხეთის წინააღმდეგ. ამათ უკვე მოაწყვეს აჯანყება ოსმალეთა ოფიცრების მეთაურობით სომხეთის მთავრობის წინააღმდეგ. იქ გაემგზავრა ინგლისის მისია, რომელსაც თან გაჰყვა პოლკოვნიკი ოსეპიანცი ძლიერი რაზმით.

დეპეშები

(საქართველოს დეპეშთა სააგენტო)

12 ივნისი.

გერმანული პრესის ცნობები.

ბერლინის მთავრობის ზოგიერთი წევრი კიელში წასვლას აპირებდა უნივერსიტეტის გახსნაზე დასასწრებლად. მაგრამ სახალხო განათლების მინისტრის გარდა, ვერავინ მიიღო ნებართვა დაპყრობილ ტერიტორიაზე შესვლისა.

გერმანიის ეროვნულ ყრილობის წევრებს წინადადება მისცა ყრილობის თავმჯდომარემ, რომ ივნისის 12 ვეიმარში ჩამოვიდნენ. როგორც იუწყებიან მეორეჯერ და მესამეჯერ წაიკითხავენ კანონ-პროექტს კონსტიტუციის შესახებ.

როზა ლიუქსემბურგის გვამს პარასკევს, ივნისის 13 მიაბარებენ მიწას ლიბკნეხტის საფლავის გვერდით. ამის გამო კომუნისტები დიდი დემონსტრაციებისთვის ემზადებიან. მოსალოდნელია საყოველთაო გაფიცვა. ამასთან ერთად კომუნისტები პროკლამაციით მიმართავენ მთელი ქვეყნის მუშებს, მათ შეუერთდენ, თანხმობის ნიშნად.

სერბიის ჯარმა კლაგენფურტი დაიჭირა.

ინგლისური პრესის ცნობები.

როგორც ფიქრობენ, ოთხთა საბჭო გაჭირვებულ მდგომარეობაში ჩააყენა გერმანელთა კონტრ-წინადადების პასუხის საკითხმა. ერთი კვირაა, რაც ამ პასუხზე მსჯელობენ და სარწმუნო წყაროებიდან იუწყებიან, რომ დღევან- [illegible] ის მხოლოდ მინიმალურ ცვლილებებზე დათანხმდება, რადგან საფრანგეთის, როგორც პალატა, ისე ხალხი გადაჭრით წინააღმდეგია დათმობისა.

ოთხთა საბჭომ დღეს დიდი დრო მოანდომა ჩეხო-სლოვაკების მიწა-წყალზე უნგრელების შეჭრის საკითხს. საბჭოს წევრები სხვა და სხვა აზრის იყვნენ. იყო წინადადება: გააფრთხილონ ბელა-კუნის მთავრობა, რომ საჭიროა ბრძოლის შეწყვეტა. კლემანსომ განაცხადა: საჭიროა გავგზავნოთ დეპეშა, რომ უნგრეთის სამხრეთს მდებარე საფრანგეთის და რუმინიის ჯარები ჩეხებს მიეშველონ. ლოიდ ჯორჯს და ვილსონს უკეთესად მიაჩნიათ რამოდენიმე ხანი მოიცადონ, რათა ჩეხების მდგომარეობის შესახებ უფრო დაწვრილებითი ცნობები იქნეს მიღებული. ხმებია, რომ ჩეხოსლოვაკიაში ბოლშევიზმმა იჩინა თავი და მდგომარეობას გამწვავებულად სთვლიან.

ოსმალეთის 8 დელეგატი კრეისერზე „დემოკრატია"-ზე საფრანგეთში გაემგზავრა. ისინი მხოლოდ ექსპერტებად ითვლებიან, რადგან არავითარი რწმუნება არა აქვთ. ისინი დაბინავდებიან ვოკრესონში, რომელიც ვერსალისა და სენ-კლუს შუა მდებარეობს. როგორც ამბობენ, ომში ოსმალეთის ჩარევას ისინი ერთიან „ახალგაზრდა ოსმალებს" აბრალებენ. ისინი თანახმა არიან, რომ ოსმალეთს სომხეთი და იმპერიის ზოგიერთი ნაწილები ჩამოშორდეს, მაგრამ პროტესტს აცხადებენ ბერძნების მიერ სმირნის დაპყრობის გამო.

ბოლშევიკების ცნობები.

მოსკოვი. ივნისის 12. სამხედრო ცნობა. დასავლეთის ფრონტი. ოლონეცის მიმართულებით ოლონეცის ტბის ჩრდილო-დასავლეთით 12 ვერსზე ჩვენმა ჯარმა რამდენიმე სოფელი დაიჭირა. ონეგის ტბაზე, პოვენეცის ყურეში მოწინააღმდეგის ჰიდროპლანები ჩვენ გემებს დაესხნენ და 40 ყუმბარა ჩამოაგდეს. კარელის რაიონში ბელოოსტროვის ჩრდილო-დასავლეთით 85 ვერსზე კირკიამიკის ახლო მოწინააღმდეგის ნაწილმა საზღვარი გადმოლახა და ჩვენ ჯარს უშვებს. პეტროგრადის მიმართულებით ჩვენმა ჯარმა კრასნაიაგორკის სამხრეთით 15 ვერსზე ბრძოლით უსტ-რუდიცი დაიჭირა. სამხრეთით ჩვენმა ჯარმა ახალი პოზიციებისაკენ დაიხია კრასნოე სელოს დასავლეთით 10 ვერსზე. პსკოვის რაიონი. რკ. გზის რაიონში ჩვენი ჯარი შეტევაზე გადავიდა და პსკოვის აღმოსავლეთით 12 ვერსზე პოზიციები დაიჭირა. სამ. ფრონ. მარიუპოლის მიმართულებით მოწინააღმდეგის ძლიერმა ძალებმა ჩვენ ჯარს ბერდიანსკი დაატოვებინა. მილეროვის მიმართულებით ჩვენმა ჯარმა ჩერტკოვო დასტოვა. ცარიცინის რაიონი. სად. კრივო-მუზგინსკაიას დასავლეთით, ცარიცინის დასავლეთით 55 ვერსზე და სად. ჩერვლენოვის სამხრეთით, ცარიცინიდან 80 ვერსზე, ჩვენი ჯარი მკაცრ ბრძოლას აწარმოებს. აღმოსავლეთის ფრონტი. ნოვოუზენის რაიონში ჩვენმა ჯარმა ალექსანდროვო-გაი დაიჭირა: უფის რაიონში ჩვენმა ჯარმა მდ. უფას მიაღწია უფას ჩრდილო-აღმოსავლეთით 20 ვერსზე. სარაპულის რაიონში ჩვენ პანდერი-იბრაისოვის ხაზზე გამოვედით, სარაპულის

სურათების გამოფენა „პატარა წრე"

(„მალი კრუგ")

მე მიამბეს, რომ როდესაც ერთი მნახველი მისულა „პატარა წრის" გამოფენაზე და დაუნახავს მცირე რიცხვი სურათებისა, ისინი აღელვებულან წრის „სიპატარავით" და... მაგიდაზე მუშტის დარტყმით კინაღამ არ მოუთხოვიათ ფული უკანვე. ჩვენ პატივცემულ მკითხველთან ერთად არ ვიქნებით გამოფენის გამმართველთადმი ისე სასტიკნი, როგორც აღნიშნული ერთი მნახველი და მივაქცევთ ჩვენ ყურადღებას გამოფენის არა იმდენად რაოდენობით, რამდენადაც თვისებით მხარეს. როდესაც გამოფენის შესახებ ლაპარაკს ვიწყებთ, შეიძლება გრიბოედოვის ცნობილი სიტყვები ვიხმაროთ: გამოფენაზე მართლაც რომ „სურათები რიცხვით მცირე იყო, ფასით კი (მხატვრული ღირებულობის მხრივ) დიდი". ეს გამოფენა სწორედ იმით არის საინტერესო, რომ შიგ არის ისეთ მხატვართა ნაწარმოებნი, რომლებიც მხატვრულ ძიების განწმენდის მთიდან უკვე გადასულან თავისუფალი შემოქმედების ელისეინის ველებში*). ეს ისეთი მხატვრებია, რომლებსაც უკვე გამოუმუშავებიათ თავისი მხატვრული ენა. მათი წერის მანერა უკვე დაწმენდილია, იმდენად გამოსახვა დახასიათებული, რომ მას შეატყობ, ხელმოწერილიც რომ არ იყოს. გადავავლებ რა სახელებს, ვიტყვი, რომ გამოფენაზე წარმოდგენილია ოთხი პიროვნება, რომლებსაც პეტროგრადსა და მოსკოვში დიდი პოპულიარობა აქვთ მოხვეჭილი—ესენი არიან: სუდეიკინი, ლანსერე, შარლემანი და სორინი. არის აგრეთვე ერთი ცნობილი ევროპიული სახელი—ზალცმანი. ამათ გარდა არის სურათები, საკმაოდ ბევრი, მხატვრის ფოგელისა, რომელიც მუდმივად თფილისში სცხოვრობს და აგრეთვე სურათები მთელი რიგ ახალგაზრდა ნიჭიერ მხატვრებისა, რომლებშიც ზოგნი აქაურებია, ზოგნი კი დროებით სცხოვრობენ თფილისში. ჩვენ დავიწყებთ განხილვას სუდეიკინიდან. ვიდრე დაწვრილებით შევეხებოდე მის ნაწარმოებებს, უნდა ორიოდე სიტყვა ვსთქვა მისი შემოქმედების ისტორიულ და შეიძლება ლიტერატურულ მხარეზედაც. უპირველესად ყოვლისა ჩვენ გვეყოფა მის მიერ წარმოდგენილ სურათებს ორ ჟანრად (შემოქმედების მანერის აზრით). პირველია მთელი რიგი სურათებისა, რომლებიც გამოხატავენ იტალიანურ კარნავალს*), ამასვე ეკუთვნის მთელი რიგი სცენიური კომპოზიციებისა, რომლებიც შექმნილია იტალიანური სასცენო წარმოდგენებით, ეგრედ წოდებულ „დელ არტე კომედიებით" (არტე იტალიანურად ხელოვნებას ნიშნავს), სადაც მთავარ მოქმედ პირებად იყვნენ არლეკინი—გულისმკვლელი თვისი ჭრელი კოსტიუმით (იხ. სურათი „არლეკინის ბალაგანი"—ფიგურა მარცხნივ), ქარაფშუტა კოლომბინა და მასში შეყვარებული, (მაგრამ, რომელსაც ამ გრძნობით არ უპასუხებენ), მთვარეზე მეოცნებე, ფერმკრთალი პიერო, [illegible] შავ დილება თეთრ ბალახანში. მეორე ჟანრი—ეს არის მთელი რიგი სურათებისა, რომლებშიაც გამოხატულია წარსული საუკუნის პირველ ნახევრის რუსეთი. არის კიდევ მესამე ჟანრი—ეს არის ქრისტეს დაბადება. მაგრამ ეს ერთად ერთი სურათია გამოფენაზე.

დავუბრუნდეთ პირველი ჟანრის სურათებს, კომპოზიციებს, რომლებითაც კარნავალმა ჩაბერა სული. აქ მნახველი რომ დააკვირდება მათ და იგრძნობს ნახულს, შეიძლება მოეცეს შემდეგი კითხვა: რად არის, რომ ეს სურათები, რომლებიც თითქოს საყველიერო ლხინს გამოხატავენ, რაღაც შიშნობის გრძნობას აღვიძებენ გულში? რად არის, რომ ამ ქარისებურ თამაშში, რომელიც თითქოს უნდა ლაპარაკობდეს სიხარულზე, სიცოცხლეზე გაისმის რაღაც dies irae **)? რად.

კაცობრიობის ცხოვრების ისტორიაში არის ხოლმე პერიოდები სასიცოცხლო ენერგიის, სასიცოცხლო ძალების მოსვლის და უკანვე დაბრუნებისა. ასეთი მოსვლა გულისხმობს რომელიმე ახალი ეპოქის დაწყებას კაცობრიობის ცხოვრებაში. ამგვარ ეპოქათა დასაწყისში, ახალი შემოქმედების ჩასახვის დროს, კაცობრიობა, როგორც ბავშვი, სცხოვრობს მთელი თავისი ფიქრებით, მთელი თავისი არსებით. აქ, ამ ქვეყანაზე, ყველაფერი ამ ქვეყნიური, რომელიც ასალორძინებლად არის განმზადებული, ახლოსაა მასთან და ადამიანს საქმე არა აქვს იმასთან, რაც არის სიკვდილის იქით. მაგრამ ამ ეპოქის ახალგაზრდობის ხანა გადის. დგება ხანა დაქვეითებისა და შემდეგ უკვე სიბერისა. კაცობრიობას კვლავინდებურად სურს მხიარულება, მაგრამ ამ მხიარულებაში უკვე იხატება სიკვდილის მოახლოვება, მოსჩანს ეპოქის დასასრული, მომავალი ქარიშხალი, რომელიც მოსპობს ყველა იმას, რაც შექმნილი იყო კაცობრიობის მიერ განვითარების ამ პერიოდში; მოდის ნამქერი, ქარბუქი, რომელიც თოვლით მოფარავს წინანდელ კულტურის კვალს, რომ მომავალ გაზაფხულზე მისცეს მიწის შვილებს ახალი კვირტები, ახალი ყვავილები ადამიანის გენიის მიერ შექმნილ კულტურისა. ასეთი ეპოქები კულტურის გადამწიფებისა მეტად დამახასიათებელია, მაგალითად, რომისათვის მე-IV საუკუნეში ქრ. შ. და აგრეთვე მთელი დასავლეთისათვის მე-XVIII საუკუნის მიწურულში, საფრანგეთის რევოლიუციის წინ. სიკვდილს, ფანტასტიკას, კარნავალის კოშმარის სიღრმეზეს გრძნობდნენ აგრეთვე მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევრის რომანტიკოსები, რომელთა შორის ყველაზე გამოჩენილი ლიტერატურაში არის ჰოფმანი, მუსიკაში რობერტ შუმანი. აი სწორედ ეს გრძნობა სიკვდილისა მხიარულებაში, რომელიც დამახასიათებელია აღნიშნულ ეპოქებისათვის, გამოხატული აქვს სუდეიკინს საკარნავალო სურათებში. კარნავალის უაზრობის კოშმარის სიღრმეზე და მოახლოვებული აღსასრულის გრძნობა—აი მთავარი აზრი ამ სურათებისა. მე ვახსენე სახელი რობერტ შუმანის. ამ შესანიშნავ კომპოზიტორს—რომანტიკოსს, რომანის სამართლიანი გამოთქმა რომ ვიხმაროთ, ერთ ერთ ყველაზე პოეტურ პიროვნებას, რომლებიც კი ოდესმე არსებობდენ, აქვს ნაწარმოები—კარნავალი, სადაც ჩაქსოვილია მთელი რიგი დამატყვევებელ რომანტიულ მუსიკალურ განცდათა. თავის დროზე კარნავალმა ჰპოვა გენიალური განხორციელება ბალეტში ბალეტმეისტერის ფოკინის შემოქმედებაში. შეიძლება მის მიერ სულ ჩაბერილი, სუდეიკინი გვაძლევს კიდეც შუმანის პერსონაჟების მხატვრულ განხორციელებათა მთელ რიგს.

რაც შეეხება სუდეიკინის მეორე ჟანრის სურათებს, ისინი ყველა, მსგავსად საშუალო საუკუნოების რაინდების სიმღერებისა, მიძღვნილია შეუდარებელ და ერთად-ერთ ულამაზეს დამისადმი, რომელსაც ეს რაინდები უმღეროდენ ხოლმე. უმრავლესობისათვის საიდუმლოებას არ წარმოადგენს ის, რომ ამ ულამაზეს დამად მხატვრისათვის ჩაითვლება მისი მეუღლე. მეცხრამეტე საუკუნის პირველ

---

*) ელისეინის ველები—სამოთხე ძველი ბერძნების რელიგიაში.

*) კარნავალი—იტალიანური ყველიერი, რომელსაც თანა სდევს სახალხო სეირნობანი, სხვადასხვა მორთულობანი და სხვ.

**) ნაწილი კათოლიკურ დაკრძალვის წესისა. არის რომ ეს ხეები, რომლებიც ბინდში იკარგებიან (იხ. სურათი „კარნავალი"), მკრთალი მთვარე („ვენეციის უაზრონი") და სათამაშო, მაგრამ ამასთანავე საშიში მთვარე („არლეკინის ბალაგანი") გვეუბნებიან ჩვენ რაღაცა იმ ქვეყნიურ აჩრდილებზე, იმ ქვეყნიურ არარაობაზე, რაღაც საშიშ ნიღაბზე, იმ ქვეყნის ვიღაც საშიშ სტუმარზე, რომელსაც საკარნავალო წამოსასხამის ქვეშ დამალული აქვს სიკვდილის ცელი და რომელსაც ნიღაბ ქვეშაც დამალული აქვს თავის ქალა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩრდილოეთით 40 ვერსზე. იქვეკის რაიონში ჩვენმა ჯარმა რამდენიმე სოფელი დაიჭირა, იქვეკის ჩრდილოეთით 80 ვერსზე. **მოსკოვი**, 11 ივნისი. როზა ლუქსემბურგი ბელადი იყო არა მარტო გერმანიის, არამედ მთელი საერთაშორისო პროლეტარიატისა მაშინ, როდესაც პროლეტარიატი ომის, იმპერიალიზმის და ბურჟუაზიის წინააღმდეგ აღსდგა. როზა ლუქსემბურგი მთელი ქვეყნის პროლეტარიატს მოუწოდებდა გაერთიანებისა და მისი დიქტატურის განმტკიცებისაკენ. როზა ლუქსემბურგი ამხილებდა შეიდემანელთა გამცემლობას და გერმანიის რევოლუციონურ პროლეტარიატს მოუწოდებდა საბჭოთა რუსეთთან შეკავშირებისაკენ. ის დაიღუპა კარლ ლიბკნეხტთან ერთად კომუნიზმისთვის მებრძოლთა მოწინავე რიგში. მისი დასაფლავების დღე მებრძოლ პროლეტარიატის რევოლუციონერ სოლიდარობის დიდ დემონსტრაციათ უნდა გადაიქცეს. რუსეთის კომ. პ. ც. კ. და სრულიად რუსეთის ც. ა. კომიტეტი ყველა ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციებს და საბჭოთა დაწესებულებებს მოუწოდებს ივნისის 18 დღე ადგილობრივ პრესაში წერილების მოთავსებით, ფურცლებით, აფიშებით და პლაკატებით, ყველა შკოლებში მიტინგებით და კლუბებში საუბრებით და ყველა გასართობების და სათეატრო წარმოდგენების შეწყვეტით აღნიშნონ. **ხარკოვი**. ივნ. 17 ტროცკიმ გასცა ბრძანება, რომელშიაც ამბობს: მახნოს ბოროტ საქმეს ბოლო მოეღო. მახნო სარდლობიდან გადააყენეს. კონტრ-რევოლუციაზე გამარჯვებას მოგვცემს ჩვენ რეგულიარული წითელი პოლკები, რომელნიც შინაგან რკინის დისციპლინით არიან მჭიდროთ შეკავშირებულნი. ტროცკის ბრძანება შემდეგის სიტყვებით თავდება: „ძირს მყვლეფავები, გრიგორიევის და მახნოს მომხრეები! გაუმარჯოს მუშათა და გლეხთა წითელ ჯარს“. **ტაშკენტი**. ივნისის 8. ზაკასპიის ოლქში წითელმა ჯარმა თეჯენი დაიჭირა. მოწინააღმდეგე სპარსეთისაკენ გარბის. **ლიონი**. ივნისის 10. საფრანგეთში და იტალიაში სოციალური უწესრიგობა საათობით იზრდება. რკინის გზის მდგომარეობა პარიზში სერიოზულად მიაჩნიათ. მთელ ქალაქში გაკრულია აფიშები, რომელშიც გაფიცული უსაყვედურებენ, რომ ისინი გერმანიას მხარს უჭერენ ხელშეკრულებისთვის წინააღმდეგობის გაწევაში. **ჰელსინგფორსი**. ივნ. 11. უთანხმოება ფინლიანდიასა და ესტონიის შორის იზრდება. ფინური გაზეთები უკმაყოფილებას გამოსთქვამენ იმის გამო, რომ ესტონელები ზღვის ნაპირზე შემთხვევით შეხვედრილ ფინელებს მკაცრათ ეპყრობიან.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

თფილისის მუშათა საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა ამიერ-კავკ. მუშათა კონფერენციის მუშაობაში ყოველივე უთანხმოების თავიდან ასაცილებლად და ერთსულოვნური მუშაობის საწარმოებლათ დაადგინა წინადადება მისცეს ბაქოს მუშათა კონფერენციის პრეზიდიუმს, რომ მან დეკლარაციის საშუალებით გამოსთქვას თავისი დამოკიდებულება საქართველოს მთავრობისა და დამფუძნებელ კრებისადმი, რაც დამყარებული უნდა იყოს ლენინის წინააღმდეგ ბრძოლის აღთქმაში. ეს დადგენილება აცნობა ბაქოს მუშათა კონფ. პრეზიდიუმს, რომლიდან პასუხის მიღებამდე ამიერ კავკ. მუშათა ყრილობის მოწვევის შესახებ მუშაობა შეჩერებულ იქნება.

◆ **ხალხთა ლიგის ხელშეკრულობის ტექსტი.** დამფუძნებელმა კრებამ მიიღო პარიზიდან ხალხთა ლიგის ხელშეკრულობის მთელი ტექსტი, რომელიც 22 ფურცლისაგან შესდგება.

◆ **ყაჩაღთა ბრბოების ამოწყვეტა.** ბორჩალოს მაზრის კომისარი ბ. ლანდია შულავერიდან დეპეშით ატყობინებს შინაგან საქმეთა სამინისტროს, რომ 4 და 5 ივნისს ყაჩაღებთან ბრძოლის დროს სრულიად ამოვსწყვიტეთ ორი ყაჩაღთა ბრბო ცნობილ ყაჩაღთა მახმედ სულეიმან ოღლისა და მ. მჭედლიძის, რომელნიც შიშის ზარსა სცემდა მთელ მაზრასო.

◆ **ქართული მარკები.** შინაგან საქმეთა სამინისტროს ადმინისტრატიულ განყოფილების უფროსმა ბრძანება გასცა, რომ ყველა თხოვნები და განცხადებანი, რომელიც შედის ამ სამინისტროში ქართულ მარკებით იყოს ანაზღაურებული.

◆ **მოძრავი გამოფენა.** მხატვარ მოსე თოიძის ინიციატივით ქართველ მხატვართა სურათების გამოფენა მოეწყობა შემდეგ ქალაქებში: ქუთაისში, ბორჯომში, გორში, ბათუმში და თელავში.

მუშათა საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული სასოფლო კომისია ეხლა მუშაობს საქ. სოც.-დემ. მუშ. პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან და მოთავსებულია ამ უკანასკნელის ბინაში.

◆ **ფრონტზე დახოცილთა ოჯახობისათვის.** სახელმწიფო თეატრში, კვირას 15 ივნისს, დილის 12 საათზე გაიმართება დილა მომენტის შესახებ: დენიკინის და ამიერ-კავკასიის რესპუბლიკები. მოხსენებებს გააკეთებენ საგარეო საქმეთა მინისტრი ევ. გეგეჭკორი, რ. არსენიძე, ივ. გომართელი, აკ. პაპავა, მაიკ ახატიანი და სხვები. ამ დილის შემოსავალი გადაეცემა ფრონტზე დახოცილ მეომართა ოჯახების სასარგებლოთ. ბილეთები ღირება 8-დან 24 მან. და იყიდება მხოლოდ თეატრის კასაში.

◆ **სროლა.** 11 ივნისს ღამით სიონის ქუჩაზე უცნობმა პირებმა ასტეხეს სროლა, რომლის დროსაც უცაბედათ დასჭრეს ფეხში მე-4 უბნის კომისარი აზვლედიანი.

◆ **მესამე რაიონის** ს. ს. დ. მ. პ. კოლექტივი, ავლაბრის კლუბში, კახეთის ქუჩა, № 1 მართავს 14 ივნისს, შაბათს, დიდ საღამოს კულტურულ მიზნების ფონდის გასაძლიერებლად. მოხსენებას მომენტზე წაიკითხავს ამხ. ი. გომართელი, ლიტერატურულ განყოფილებაში ლექსებს წაიკითხავენ მგოსნები გ. ტაბიძე და გ. ქუჩიშვილი. წარმოდგენილ იქნება „მათიკოდან“ მესამე მოქმედება და „უბედური დებიუტი“, ხორო, ვახშამი, საზანდარი, ფოსტა და აუქციონი.

◆ **ბეჭდვითი საქმის მუშათა** პროფესიონალური კავშირის გამგეობა აცნობებს ყველა რწმუნებულებს, რომ დღეს, 18 ივნისს, საღამოს 6 ს., კავშირის ბინაზე, შესდგება რწმუნებულთა საბჭოს კრება ფრიად მნიშვნელოვანი კითხვების გასარჩევათ. რწმუნებულების და გამგეობის ყველა წევრების დასწრება სავალდებულოა.

◆ **სახელმწიფო თეატრში** დღეს, 18 ივნისს გაიმართება საინტერესო კონცერტი— საღამო დების თარხნიშვილებისა. მონაწილეობენ აგრეთვე ილ. ზურაბიშვილი, კ. მაჟაშვილი და ი. გრიშაშვილი.

◆ **კარიდე ნინიძე** გვთხოვს გამოვაცხადოთ, რომ მან მიიღო ზ. ხიდირბეგიშვილისაგან ათასი მანეთი, რომელიც სურამის ქალაქის საბჭოს გადაეცემა განსვენებულ რაფ. ჩიხლაძის ობლების სასარგებლოდ.

2) ას ორმოცი მანეთი ვანო სინჯარიძისაგან გურიის კომიტეტის ხაზინადრისათვის გადასაცემათ რკინის გზის სამართველოს კომერციულ ნაწილში შეგროვილი მიხეილ კაჭარავას მიერ. ასი თუმანი მასთან ინახებოდა სთხოვს დაიბაროს კომიტეტს ამ ფულის მიღებას.

კრებები.

პარასკევს, საღ. 5 საათზე, ვერის პარტიულ მუშათა კლუბის დარბაზში დანიშნულია ვერაზე მცხოვრებ სცენის მოყვარეთა საზოგადო კრება. გარჩეულ იქნება კითხვა სცენაზე მუშაობის შესახებ.

— დღეს, 18 ივნისს საღამოს 5 საათზე სახელმწიფო უნივერსიტეტის მეშვიდე აუდიტორიაში შესდგება მარქსისტ სტუდენტთა საზოგადო სამეცადინო სამეცნიერო წრის წევრთა დამფუძნებელი კრება.

ᲞᲠᲝᲕᲘᲜᲪᲘᲘᲡ ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ.

სამტრედია. დამფუძნებელი კრების წევრი პ. წულაია ორშაბათს, 16 ივნისს, ნაშუადღევის 2 ნახ. საათზე, სამტრედიის რკ. გზის კლუბში მოხსენებას გააკეთებს საერთაშორისო მდგომარეობაზე და დამფუძნებელი კრების მუშაობაზე. დასწრება შეუძლია ყველას, როგორც რკინის გზის მოსამსახურეთ, ისე გარეშეებსაც.

ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲔᲚᲗᲐ ᲡᲐᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲝᲗ

ამ დღეებში ერთი სტუდენტი, სოფლის მასწავლებლათ ნამყოფი, შემეკითხა,—წაიკითხე თუ არა გაზ. „ს. საქმეში“ მოთავსებული წერილი სახალხო მასწავლებლის მატერიალური მდგომარეობის შესახებ, და მე, როგორც საპედაგოგიო-სამეცნიერო წრის წარმომადგენელი, ვსთვლი თუ არა თავს ვალდებულად ამ საქმეზე რამე ვსთქვა?

სათქმელი ბევრი მაქვს, მაგრამ გაზეთის მოკლე წერილში ეს არ ხერხდება და შევეცდები კი მოკლედ აღვნიშნო ის, რაც მინდა.

ძველად ამნაირ საქმისთვის ერთადერთი გზა იყო: თხოვნა, დეპუტაცია, პროტესტაცია, კარის კაცები და სხვადასხ. დღეს კი სულ სხვაა, დღეს კი ამნაირი მთავრობაა, რანაირიც ჩვენ გვინდოდა, ე. ი. ჩვენ მიერ არჩეული, და აქ ძველ გზას ადგილი არ უნდა ჰქონდეს. რა ქნას მთავრობამ, თუ მას საშუალება არ აქვს?

რომელი ჩვენთაგანი დაგვარწმუნებს, რომ ფული ის, რაც მთავრობას აკლია,—სოფლად არ არის? მაშ რაშია საქმე?—ხალხს აქვს, ხალხის მიერ არჩეულს მთავრობას არა აქვს, ხალხის და მისი შვილების აღმზრდელი შიმშილით კვდება.

სამწუხაროთ უნდა მოვახსენოთ, რომ ჩვენ, მასწავლებლები, დღეს არ ვაქცევთ ყურადღებას, და თუ ვაქცევთ—ნაკლებად, ხელის შემშლელ პირობებს.

საქმე იმაშია, რომ მასსას ჯერ კიდევ ნაკლებ შეგნებული აქვს თავისი მოვალეობა (საზოგადოების, არც სახელმწიფოს, არც ერის, არც კაცობრიობის წინაშე, თითქმის არც თავის ოჯახის წინაშეც, სიტყვის ვიწრო მნიშვნელობით) და ამაში თუ სრული არა—ფრიად დიდი დანაშაულობა მიუძღვის აღზრდას.

ყველა დამეთანხმება, რომ როდესაც მასას ექნება შეგნება თავისი მოვალეობისა, მაშინ მისი და მისი შვილების მასწავლებელი, აღმზრდელი, უზრუნველყოფილი იქნება. როდესაც მასას შეგნება ექნება თავისი მოვალეობისა, ის არ დაამცირებს თავისი და თავისი შვილების მასწავლებელს და აღმზრდელს ისე, რომ მან ლუკმა მჭადი მუხლმოდრეკით (თხოვნით) მისი და მის მიერ აღზრდილი ხალხისგან არჩეულ მთავრობის წინაშე და საქვეყნოთ იტიროს: „მიშველეთ, მიხედეთ მასწავლებელს“: ეს არ ეკადრება მასწავლებელს, და არც იზამს შეგნებული ხალხი. შეგნებული ხალხი თავის მასწავლებელთან ერთად თავის მთავრობას მოსთხოვს ანგარიშს და, თუ აკლია საშუალება, მისცემს, თუ არა და, უბრძანებს გაანაწილოს რიგიანად თავის დროზე. მაგრამ სამწუხარო და სავალალო ის არის, რომ ამნაირი შეგნება ჯერ კიდევ არ არის. ნუ შევლახავთ ჩვენს ღირსებას და ბრძოლით მოვიპოვოთ საზრდო. მაგრამ არა იმნაირი გზით წარმოებულ ბრძოლით, რანაირითაც აღწევენ მიზანს სხვა დარგში მომუშავენი. ჩვენს ბრძოლას ხალხში უნდა მოუმზადოთ ნიადაგი. ყოველ შემთხვევაში ამ მხრით დიდი მუშაობა თან უნდა სდევდეს ჩვენს ბრძოლას, რომ ჩვენი მოთხოვნა—ხალხის მოთხოვნათ იქცეს. შეიძლება ჩვენ სრულიადაც არ დაგვჭირდეს არავითარი მოთხოვნის წამოყენება.

ყოველივე ეს გათვალისწინებული გვქონდა, როდესაც სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა შორის დაარსებული საპედაგოგიო სამეცნიერო წრის ერთი ჯგუფის სახელით გამოუშვით მოწოდება.

ამ მოწოდებაში ჩვენ მოვითხოვდით კულტურულ მუშაობას, რომელიც დიდ საჭიროებას წარმოადგენს დღეს ჩვენი ხალხისთვის, სწავლა-განათლების მხრით განსაკუთრებით. სკოლაშიაც არის საჭირო რევოლუცია, და ამას კი დიდი მუყაითი და დაკვირვებითი მუშაობა სჭირდება, მასთან დიდი დროც. როგორც თვით სკოლაში, აგრეთვე ხალხშიაც დიდი მუშაობა არის საჭირო, რომ ხალხს შეუყვარდეს სწავლა-განათლება, დაინახოს მისი აუცილებელი საჭიროება. აქაც პირველ რიგში მასწავლებელი უნდა იდგეს. ამისთვის ჩვენ დღეს 24 საათის მუშაობასაც არ უნდა შევუშინდეთ, სანამდის ცხოვრება კალაპოტში ჩადგებოდეს. საქმე მარტო დაწყებულია. ჯერ საძირკველი კარგათ არაა დასრულებული. როდესაც ჩვენ, მასწავლებლები, ჩავებმევით იმნაირ კულტურულ-თეორეტიულ და პრაქტიკულ მუშაობაში, როგორიც ნაჩვენებია მოწოდებაში, მაშინ ხალხში მოვიპოვებთ საჭირო ავტორიტეტს და მომავალ თაობასაც დავაყენებთ სწორ გზაზე.

სკოლაში აღზრდის საქმის საღი პედაგოგიკის ნიადაგზე დაყენებით ახალთაობას თავის სწორ გზაზე შევაყენებთ, რაც შეადგენს უმთავრესს ჩვენს მოვალეობას. სახალხო კითხვების მოწყობით ხალხს თავის მოვალეობებს შევაგნებინებთ და მით სახელმწიფოს გავამაგრებთ, და თავისუფლებას შევინარჩუნებთ.

ამ ნაირად არის შესაძლებელი მოახლოვება იმ დიადი ეპოქისა, რომელიც სახეში აქვს ერთს მეცნიერს, როდესაც ლაპარაკობს: „ბატონობენ ქურუმები, ბატონობენ დამპყრობელნი, იბატონებენ აღმზრდელნი“.

აქვე მოგვყავს ჩვენი მოწოდების უკანასკნელი ნაწილი: 1) სია იმ ქართულ წიგნებისა, რომლებიც თქვენ არა გაქვთ და თქვენთვის კი საჭიროებას წარმოადგენენ, როგორც სახელმძღვანელო ისე საკითხავი, როგორც თქვენთვის, მასწავლებლებისთვის, ისე მოწაფეთათვის. 2) სია იმ რუსულ საკითხავი და სახელმძღვანელო წიგნებისა, რომელთა გადათარგმნა საჭიროდ მიგაჩნია, როგორც მასწავლებელთათვის, ისე მოწაფეებისათვის, და ამ წიგნებიდან, რომლის გადათარგმნას თქვენ იკისრებთ და დაახლოვებით რამდენ ხნის განმავლობაში. 3) სია იმ თემებისა, რომლებზედაც საჭიროა თქვენს სოფელში ლექციების წაკითხვა და აქედან რომელ თემაზე თქვენ იკისრებთ და რა ვადაში ლექციების შედგენას.

ამ საქმისთვის საჭიროა გამომცემლობა მოეწყოს. კერძო კაპიტალისტის ანუ აგრეთვე რომელიმე ჯგუფის ხელში ამ საქმის გადაცემა მიგვაჩნია მიუღებლად და გადავსწყვიტეთ საპაიო ამხანაგობის დაარსება. პაი ღირება 10 მანეთი. ამ საქმისთვის დაგვჭირდება კერძოდ შეგნებულ პირების კრების მოწვევა.

მისამართი: თფილისი, სახელმწიფო უნივერსიტეტი საპედაგოგიო-სამეცნიერო წრის გამგეობის თავმჯდომარეს ნესტორ ჭითავას.

ნ. ჭითავა.

Ს.-ᲓᲔᲛ. ᲞᲐᲠᲢᲘᲐᲨᲘ

თფილისი. 5 ივნისს მე-6 რაიონის კოლექტივის ბინაზე შესდგა ამავე რაიონის ყველა ორგანიზაციების და მოწინავე მუშების კონფერენცია. დაესწრო 30 წევრი. თავმჯდომარეობდა ამხ. ი. ირემაშვილი. დღიურ წეს-

---

ნაწერის სიძველის მოყვარულს სულეიკანს თავისი ზეწარგონების მსგავსიც გადაჰყავს იმავე ეპოქაში და გამოხატავს მას იმ დროის პოზებში და პეიზაჟის ფონზედაც, რომელიც აგრეთვე იმავე დროის სტილით არის დაწერილი. ხან ჩვენ მას ვხედავთ შეზლონგზე მადამ რეკამიეს (ერთ ერთი უბრწყინვალესი დამ ნაპოლეონის ეპოქისა) პოზაში, ხან ბაღში იმავე დროის დამახასიათებელ პოზაში, ხან ძველი მემამულეთა შენობების ფანჯარასთან, ხან ზამთრის საღამოს გამოწყობილ დამახასიათებელ მოკლე ქვითიბში, როდესაც ის ქალბატონის პასიანსს ალაგებს (ესეც დამახასიათებელი დროის ტარებაა, იმავე ხანის შესაფერი). გადავლიდან რა სურათზე „შობა“, უპირველესად ყოვლისა მე ვიტყვი, რომ ამგვარი ნივთები თავდაპირველად უნდა იყვნენ სულჩადგმულნი მორწმუნე ადამიანის ძლიერი მისტიური განცდით, ან და ძველი დროებისადმი დაუსრულებელი მიახლოვებით. მე მაგონდება, თუ როგორი ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა ძველმა რუსულმა ხატების მხატვრობამ ცნობილ ფრანგ მწერალ ანატოლ ფრანსზე, როდესაც მან მოსკოვი დაათვალიერა, როდესაც ის ამ მხატვრობის შესახებ თავის აღტაცებას და ქებას გამოსთქვამდა, მან ის აზრი გამოთქვა, რომ ხატების მხატვრობაში განხორციელებულია პრინციპები, საითკენაც ხშირად უშედეგოთ მიისწრაფის ბევრი თანამედროვე ფრანგი მხატვარი. ვუბრუნდები რა სულეიკანის „შობას“, მე ვიტყოდი, რომ პირადად მე წარმოდგენილი მაქვს მისი ნაშრომი ამ დარგში უფრო ვლისამედ პეტრეს ახალი, ეკატერინე მე-II-ის და შეიძლება ალექსანდრეს ხანის დასაწყისის ეპოქების სასოფლო საგვარეულო საყდრების საეკლესიო ხელოვნების სტილით შესრულებული, რომელი ნახატიც აქამდე შენახულან განსაკუთრებით მალოროსიაში. ამას გარდა კიდევ ვიტყვი: საწყენია, რომ გამოფენის კედლების სივიწროვემ შეძლება არ მისცა მხატვრებს „შობა“ ცალკე ადგილას დაეკიდათ. „კარნავალის“ და „შობის“ ერთად მოთავსებამ მომაგონა მე ერთი კონცერტის პროგრამაში მისტიური ექსტაზის და სკრიაბინის „პრომეთეს“ შეერთება თუნდაც კუზმინის სტილის მუსიკასთან.

პეტერბურგის მეორე წარმომადგენელის სორინის სახით ჩვენ წინაშე სდგას უპირველესათ ყოვლისა საუცხოვო პორტრეტისტი, რეპინის მოწაფე. მის პორტრეტებში, რომლებიც შესრულებულია საკვირველი ტეხნიკური ეფექტებით, უპირველესად ყოვლისა ჩვენ ვამჩნევთ დიდ მსგავსებას ორიგინალთან. საჭიროა რამოდენიმეჯერ ნახოთ ორიგინალები, რომ გაიგოთ, თუ რამდენიმეთ მგვანან ისინი პორტრეტს. ძალაუნებურად საჭირო ხდება შედარება სორინის პორტრეტისა („ქ. ორბელიანისა“) და იმავე ქალის პორტრეტისა, რომელიც არის შესრულებული სეროვის მიერ და რომელიც მოთავსებულია ალექსანდრე მე-III მუზეუმში პეტერბურგში. სეროვის ნამუშევარი თამამად არის შესრულებული, არ არის საგანგებო მისწრაფება გარეგნულ სილამაზისადმი, ორიგინალი აღებული აქვს მთელი თავისი პლიუსებით და მინუსებით და გამოხატული აქვს არა მარტო მის გარეგნული, არამედ შინაგანი მხარეც—ერთი სიტყვით მთელი ადამიანი, როგორიც არის ის, თავიდან ბოლომდე წარმოდგენილია ტილოზე. სორინის პორტრეტზე კი ორიგინალი დაუსრულებლივ ლამაზია და მე ვიტყოდი: თუ ორიგინალი ნამდვილად არც არის ესოდენ მშვენიერი, ის უნდა მიისწრაფოდეს, რომ გახდეს ამგვარად მშვენიერი.

ეგევე ითქმის დანარჩენ პორტრეტებზედაც და აქედან აშკარაა, თუ რად ოცნებობს თფილისის ბევრი მშვენიერი არსება იქნეს დახატული სორინის მიერ. სორინის პეიზაჟებიდან მე მომწონს პეიზაჟები ლილისფერი მთით და წითელი ხით. ორივე ლამაზია და მათ ფერადებს ოდნავ გადაჰკრავს ცხელი ზაფხულის დღის ბინდიც.

(დასასრული იქნება)

თ. გარტმანი

რიგს შეადგენდა: მიმდინარე მომენტი და პარტიული მუშაობა. მიმდინარე მომენტის შესახებ მოხსენებას აკეთებს ი. ირემაშვილი. შეკითხვების შემდეგ კონფერენცია ღებულობს შემდეგ რეზოლუციას: ვიღებთ რა მხედველობაში საერთაშორისო დემოკრატიის ბრძოლის ზრდას მსოფლიო იმპერიალიზმის მოსასპობათ, ჩვენ, როგორც ერთი რაზმი საერთაშორისო დემოკრატიის და პროლეტარიატისა, კვლავ განვაგრძობთ მედგარ ბრძოლას ყოველ-გვარ შავრაზმელების წინაამდეგ; კერძოთ დენიკინის, როგორც შავ რეაქციის წინაამდეგ ბრძოლაში, ჩვენ მხარს ვუჭერთ ჩვენს დემოკრატიულ მთავრობას და დამფუძნებელ კრებას.

პარტიული მუშაობის შესახებ კონფერენცია ადგენს: მოიწვიოს კვირას მე-5 სამილიციო ნაწილის წევრთა საზოგადო კრება; რაც დაევალა ყველა დარგის წარმომადგენლებს, მოიყვანონ სისრულეში.

განცხადებას აკეთებს ვ. ათაბეგოვი რაიონულ შტაბის სახელით და სთხოვს რაიონს დახმარებას ფრონტზე მყოფ გვარდიელების ოჯახების სასარგებლოთ სადამოს მოწყობაში. კრება განცხადებას ღებულობს და ადგენს: დაევალოს ყველა ორგანიზაციებს მიიღონ მხურვალე მონაწილეობა.

შემდეგ განცხადებას აკეთებს კოლექტივის მდივანი, და აუწყებს კრებას, რომ ვ. ათაბეგოვმა წარმოადგინა სხვადასხვა ამხანაგებს შორის შეგროვილი კოლექტივის სასარგებლოთ 1460 მ. კრება მადლობას უცხადებს და ადგენს: მოთავსდეს შემომწირველთა გვარები და გამოეცხადოს მადლობა პარტიულ ორგანოში.

მდივანი ან. გოჩიტაშვილი.

— —

ზესტაფონის რკ. გზ. ს.-დ. მ. პ. იაჩეიკამ 6 ივნისის კრებაზე მოისმინა რა მოხსენება ამ. მიმინოშვილისა რკინის გზაზე წარმოებული გამოცდების შესახებ, დაადგინა ერთხმათ: გამოცდების წარმოება რკინის გზაზე არის სასურველი ნაბიჯი დაცემული წარმოების აღსადგენათ; ამასთანავე, იღებს რა მხედველობაში კომისიის შემადგენლობას, როგორც დემოკრატიულს,—ამბობს, რომ გამოცდა არ წარმოადგენს ისეთ საშიშროებას, როგორც მის შესახებ პროვოკაციულად ავრცელებენ ხმებს.

კრების თავმჯდომარე ო. ურუშაძე·

მუშათა შორის

ფოთი. 4 ივნისს შესდგა აქაურ მე-ტყის ქარხნების მუშების კავშირის წევრების საერთო კრება. კრება გაიხსნა ა. დ. გუბელიძის თავმჯდომარეობით. დღიურ წესრიგში იყო განსახილველი გამგეობის მიერ გადადგმული ნაბიჯი საჭილაოს მე-ტყის მუშების შემოკავშირების შესახებ. შემდეგი საკითხი იყო ეკონომიური პირობების გაუმჯობესების შესახებ. აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ კრებამ გამოიმუშავა ეკონომიური მოთხოვნილებები მეპატრონეებთან ერთად და გადასცა დასამტკიცებლათ ცენტრალურ საბჭოს. იყო სხვა წვრილმანი კითხვებიც, რომლების შესახებ შესაფერი ზომები იქნა მიღებული. იმედია გამგეობა არ დაიშურებს შრომას და გაუწევს დახმარებას კავშირის გარეთ მყოფ ამხანაგებსაც და შემოიკრებს მათაც.

ამ ჟამად აქაურ კავშირში შემოდის ნატანების ქარხნის მუშები, ლანჩხუთის და საჭილაოს ქარხნის მუშები უკვე ხელმძღვანელობენ აქაური დირექტივებით. იმედია მიბაძავენ ამათ სხვა ქარხნის მუშებიც.

მოვაგონებთ კავშირის გარეთ მყოფ ამხანაგებს, რომ ხსნა მუშებისა არის მხოლოდ მუშათა კავშირებში. **ხიო ხაფთახა.**

პროვინცია

ს. ატენი (ქართლი). ტანის ვიწრო ხეობაში, ზეზვანის სამხერხავო ქარხნის ზევით, მთის კალთებზე შეფენილია ს. ატენი. ვიდრე ტყე გაუჩეხავი იყო, მაღლობებზე და სოფელსაც ბუჩქნარი ეკრა, ატენელები ცხოვრობდნენ სხვებზე არა ნაკლებ კმაყოფილნი თავიანთ ბედით-მდებარეობით. მაგრამ დღეთა დღე გაიჩეხა ტყე. მოისპო ბუჩქნარი, მოტიტვლდა მთები და დაიწყო კიდეც ატენელების უბედურობა. წელიწადი არ გავა ისე, რომ ცოდვის სანახაობა არ დატრიალდეს ამ ტიტველა ფერდობებიდან უეცრად წამოსულ ნიაღვრებისაგან. ერთი ასეთი შემთხვევა გუშინაც იყო. 7 თიბათვეს ნაშუადღევს 3—4 საათზე დაასხა კოკისპირული წვიმა. თან მოჰყვა ხშირი და სიონისაკენ კარგა სქელი სეტყვაც. რასაც კი მოხვდა ზიანი არ დააყენა, მაგრამ ამაზე ვინღა ფიქრობდა. ხალხი მარტო იმასღა სცდილობდა, რომ თავი ცოცხალი დაეხწია სახლებში შევარდნილ ნიაღვრებისაგან. საწყლებმა იციან რაც დაემართებათ ასეთ ამინდში და, თუ ვისმეს მოასწრო სადმე სამუშაოზე, ყველამ მიატოვეს მუშაობაც, საქონელიც და შინისაკენ გარბოდნენ, რომ ქალებსა და ბავშვებს მოხმარებოდნენ ნიაღვრებთან ბრძოლაში. ძალიან მრისხანე იყო ამინდი და ხალხმა ვერ გააწყო რა. მოწოლილმა ნიაღვრებმა ზოგს სახლის კედელი შეუნგრია, ზოგს კარებიდან და ფანჯრიდან შეუვარდა წყალი. რამდენიმე მარანი ამოავსო ფერდობებიდან წამოღებულ ნაშალი კლდით. ამნაირათვე დასილა ალაგ-ალაგ ვენახები. სიონის ახლოს ერთ ვენახში, მაგალითად, ვაზები აღარ სჩანს და სარების წვერებს-და ამოუყვიათ თავები ქვიშაში. ზარალი აუარებელია. ალაგ-ალაგ თვით ადამიანთა სიცოცხლეც დიდ საფრთხეში ყოფილა. ერთმხრივ აზვირთებული ტანა, მეორე მხრივ მოზღვავებული ხევის წყალი და დანარჩენი მხრივ დაქანებული მაღალი ფერდობი სწორედ შიშის ზარსა ჰკვრის გარეშე მაყურებელთაც-კი.

ასეთი ჭირ ნახული ატენელები მეორე დღეს დილით შეიკრიბნენ „ზავოდთან“ და ერთხმად დაადგინეს გაეყოთ სასახლე-კარით ამას წინად ზეზვანისაგან ჩამორთმეული ვენახი, რომლის ადგილ მდებარეობაც უზრუნველმყოფელია ნიაღვრებისაგან. ზოგიერთი იქ შეკრებილი ერობის წარმომადგენელნი ბევრნაირად ეცადნენ დაემშვიდებინათ ხალხი და მოეცდევინებინათ სადიგიომამულო გამნაწილებელ კომისიისათვის, მაგრამ ატენელებმა არ გაიჭრა მათთან. „აქამდის გიცდიდით, ახლა ჩვენ თავს ჩვენ უნდა ვუპატრონოთო“ ამბობდნენ და შეუდგნენ მამულის გასაყოფად ერთმანეთში მოლაპარაკებას. გ. ო—ძე.

წერილი რედ. მიმართ

თფ. ქალაქის გამგეობის საყურადღებოთ.

ამა წლის 20 მარტს ნაძალადევში ერთი პატარა, ნახევრად დანგრეული, ქოხი ვიყიდე. მ წ., რომელზედაც ეს ქოხია მოთავსებული ქალაქისაა და როგორც წესია უფლება, ძველი პატრონის ნაცვლად, ჩემ სახელზე უნდა გადმოსულიყო. სამისოთ თხოვნაც შევიტანე იმ დღესვე ქალაქის გამგეობაში მოთავსებულ სამიწო განყოფილებაში (ზემელნი ოტდელ). მითხრეს, ორი კვირის შემდეგ მოიკითხე და მზად იქნებაო. მივედი დანიშნულ დროზე, მაგრამ კიდევ გადამიდვეს და ასე ამ ოროთვენახევრის განმავლობაში ხუთჯერ ვარ მისული. როცა უკანასკნელად მივედი, პასუხის მაცემაც გაიჭვრა იმ ახალგაზრდამ, რომელსაც ეს საქმე აქვს მინდობილი. საქმე კომისიას აქვს გადაცემულიო, ის არაფერს აკეთებს და მე რა ვქნაო. მინდა შევეკითხო ქალაქის მამებს: მართლა არსებობს ასეთი კომისია თუ არა? და თუ არსებობს, რას აკეთებს, ან რა უნდა გავაკეთო მე?

ვიქტორ წულაძე.

ანგარიში

საქ. ს.-დ. მ. პ. ხაშურის კომიტეტის შემოსავალ-გასავლისა 1918—1919 წლისა.

შემოსავალი: კასაში იყო 873 მ. 83 კ., სხვადასხვა დროს გამართულ წარმოდგენებისაგან 4522 მ. 80 კ., საწევრო გადასახადი 8150 მ. 70 კაპ., მუშათა სექციის დარჩენილი თანხა 168 მ. 55 კ., გაყიდული ბროშიურების 43 მ. 15 კ., სტამბისაგან 5097 მ. 10 კ., შემოწირულებანი 237 მ., დამფუძნებელი კრების კამპანიის საწარმოებლათ შეგროვილი თანხა 1144 მ., პარტიული წიგნაკებიდან 217 მ. 90 კ. სულ 15,450 მ. 03 კ.

გასავალი: სტამბაზე გაწეული სხვადასხვა ხარჯები 3014 მ. 40 კ., ჯამაგირები ბიუროს მოსამსახურეებს 3019 მ. 50 კ., საკანცელარიო ხარჯები 49 მ. 15 კ., დახმარება გარდაცვლილ ამხანაგების ოჯახობას 2300 მან., დღიურები კომიტეტის დავალებით სხვადასხვა ადგილას გაგზავნილ ამხანაგებს 2049 მ., საოლქო და სამაზრო კომიტეტებს პროცენტების სახით 1200 მ., სხვადასხვა წვრილი ხარჯები 1013 მ. 15 კ., კანტორა „განათლებას“ გაზეთების ფული 630 მ. 48 კ., ხაშურში მოწვეულ სამაზრო ყრილობის ჩასატარებლათ გაწეული ხარჯები 800 მ., პარტიული წიგნაკების და მარკების ფასათ ცენტრალურ კომიტეტს 1186 მ. ჯამი 15,261 მ. 68 კ. დარჩა კასაში 1919 წელს 188 მ. 35 კ.

ხაშურის სოც.-დემ. კომიტეტის ხაზინადარი მიხე ჰყონია.

ცნობები

ჯარისკაცი სერაფიონ მ. ხილაძე მსახურებდა პირველ ქართულ ქვეითა პოლკში, მე-13 როტაში, მონაწილეობას იღებდა სანაინთან, სომხეთის წინაამდეგ ბრძოლაში. სანაინიდან გაგზავნილ იქმნა ახალციხის ფრონტზე. მას შემდეგ მშობლებმა არ იციან, თუ რა ბედი ეწია მას, ამიტომ ვთხოვთ, ვისაც ცნობები აქვს ამ ჯარისკაცის შესახებ, შეატყობინოს შემდეგი მისამართით: თბილისი, სასამართლოს ქუჩა № 14, ელიზბარ თარგამაძეს.

ფ ო ს ტ ა

ქ. ზუგდიდი. აკ. წულაიას. გაზეთი გეგზავნებათ.

ს. ქვემო მაჩხაანი. მ. ტოკლიკაშვილს. გაზეთი გეგზავნებათ.

განცხადებანი

1919 წ. 15 ივნის, კვირას, დილის 10 საათზე მთავარ საბჭოს შენობაში შესდგება საქ. დემ. რესპ. საბჭოების მუშა-მოსამსახურეთა

დელეგატების პირველი

კონფერენცია

მთავარ საბჭოს მუშა-მოსამსახურეთა პროფ. კავშირის კოლექტივი. (2—1)

იყიდება

შემთხვევით ძირი ფურგონი, ზეროტრიკი 220 ვოლტი 10 ამპერი საუკეთესო ფირმის; ვალამერი, ტრუბები და ბევრი სხვა მასალები. მისამართი: ჩერქეზოვის ქუჩა № 32 იკითხეთ მათე გორგილაძე 2 საათიდან 7 ს. (2—1)

ექიმი ნ. ლ. ტურიაშვილი

მედიცინის დოქტორი მიუნხენის უნივერსიტეტისა იღებს ყოველ დღე შინაგან, საბავშვო და ქალურ სნეულებებიან ავადმყოფებს დილით 12—2 ს. ნიკოლოზის ქ. № 7 სიმონოვის აფთიაქის გვერდით.

ექიმი დ. ვ. ჯავახიშვილი

გადავიდა ახალ ბინაზე და იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულებებით ავადმყოფთ დილას 8—9 ს. და საღამოს 4—7 საათამდის. მიხეილის პროსპექტი № 64 ტელეფონი 14—6.

ექიმი ნიკოლოზ ივანეს ძე მახვილაძე

იღებს სპეციალურად—მალარიით (ციება და მისი შედეგებით დასნეულებულთ) ხანგრძლივ ნაკლებხმობით, გულისა, ფილტვებისა, ქარებით და სხვა შინაგან სნეულებებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოთი 4—6 საათამდე. ელექტრონიზაცია. მისამართი: მოსკოვის ქ. № 11, ზემელის აფთიაქის ახლოს.

დოქტორი მ. გოლდშტეინი

ყოფილი ასისტენტი ბარონ როტშილდის მთავარი ჰოსპიტლისა და ვენის უნივერსიტეტის კლინიკისა.

თვალის ავადმყოფობანი. ამორჩევა სათვალეებისა. მიღება 8—12 საათამდე და 4—7 საათამდე. ნიკოლოზის ქუჩა, № 32.

ექიმი დ. ა. ხარაძე

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5—7 საათ. ჩერქეზიშვილის ქუჩა № 37, ავჭალის აუდიტორიის ახლო.

ექიმი მ. ზ. მზალობლიშვილი

ქალისა და საღოსტაქრო ავადმყოფებს მიღება ყოველ დღე საღ. 5—7 საათ. ოლღის ქ. № 41, ტელ. 12—75.

ექიმი დ. ი. ცაგარელი

შინაგანი სნეულებანი. იღებს ავადმყოფებს საღ. 5—7 ს. პუშკინის ქუჩა, № 9.

ექიმი ქალი რ. ზ. შიშლო-საბაშვილი

მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და ბერლინის მედიკურ ქირურგიულ კოლლეჯისა. იღებს ყოველდღე შინაგან, ქალის და ვენერიულ ავადმყოფთ და იძლევა სამეანო დახმარებას. სიფილისის წამლობა ახალი მეთოდებით. დილის 10—12 ს. და საღამოს 6—7 საათ. მიხეილის პრ., № 119, ტელეფონი № 9—26.

მედიცინის დოქტორი ბერლინის უნივერსიტეტისა **მ. ზ. მუხრაბაიანცი**

შინაგანი ავადმყოფობა, ფილტვისა და გულისა. იღებს ახალ რენტგენის—ელექტრო წამლობის კაბინეტში; გასინჯვა და წამლობა X-ს სხივებით, დიდი სადიაგნოსტო და არსენვალის ტიპით ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის. ღარიბებს უფასოთ. ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე და საღამოს 5—8 საათ. ბებუთოვის ქ. № 25, ტელეფ. 7—92.

ექიმი მ. ზ. ხვიჩოჩამა

განახლდა მიღება ბავშვთა და შინაგან სნეულებიან ავადმყოფებისა. ავადმყოფებს იღებს დილის 8—10 და საღამოს 5—7 საათამდე, გრიბოედოვის ქუჩა № ტელ. 4—15.

ექიმი მ. ა. ზაღრაძე.

სპეციალურად ვენერიული სიფილისი და მისი შედეგები (მკურნალობა „606“ და „914“), შარდის ორგანოების (ტრიპერი) და სასქესო ორგანოების სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე, ქალებისათვის ხუთ. 4—5 საათამდე. კვირაობით მხოლოდ დილით. მისამ: ოლღის ქ. № 38.

ექიმი მ. ი. ხარიტიანი

იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღ. 5—7 საათამდე. ბინა ოლღის ქუჩა № 24, ტელეფ. 1—35

ექიმი დ. ი. ჯაფარიძე

ღებულობს შინაგან, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებით ავადმყოფებს დილის 12—1 ნახ. საათ., საღამოს 5—6 საათ. მისამართი: მადათოვის ქ. № 7 ალექსანდროვის ბაღის პირდაპირ, ტელეფონი 16—65.

კბილის ექიმი **აპოლონ პავლეს ძე ურუშაძე** ღებულობს ავადმყოფებს ყოველ დღე 9—1 და საღამოს 4—7 საათ. გოლოვინის პროსპ. 34. ტელ. 10—81.

მეორე ქართული კლუბი

(მიხეილის ქუჩა № 131) პარასკევს, შაბათს და კვირას, 13, 14 და 15 ივნისს ნაჩვენები იქნება პირველი ქართული კინემატოგრაფიული არშიები:

1) დამფუძნებელი კრების გახსნის დღესასწაული, 2) სახალხო გვარდიის დღე საქართველოს დედა ქალაქში, 3) ქრისტინე.

კინო დრამა 4 მოქმედებად ე. ნინოშვილის მოთხრობიდან.

სცენარიუმი ა. წუწუნავასი. გამოცემა გ. გოგიტიძესი. (3—1)

იტალიის სამხედრო მისია

7 ივნისიდან ქ. თფილისში, ვერის დაღმართზე გაიხსნა ამბულატორია, რომელიც ღიაა ყოველ დღე, კვირა დღეების გარდა, დილის 9—1 საათამდე,

ამბულატორია უწევს სამედიცინო უფასო დახმარებას მხოლოდ ღარიბებს; აძლევს მათ რჩევას და წამლებს უსასყიდლოთ.

ვისაც სურვილი აქვს ისარგებლოს იტალიელ ექიმთა კონსულტაციით მისდევს საათებში იხდის მცირე გასამჯელოს, რომელიც გადაეცემა ქალაქის საქველმოქმედო ორგანიზაციის სასარგებლოდ. ამბულატორიის აფთიაქიდან კერძოთ წამლები არ გაიყიდება. მიიღებიან სექციებით დაავადმყოფებულნი: შინაგანი სნეულებით, საოპერაციო დახმარება და შეხვევა, გინეკოლოგიური სნეულებით, წამლობა და ამოღება კბილებისა, კანისა და ვენერიული სნეულებით. პაციენტებმა, რომლებიც სარგებლობენ იტალიელთა მისიის ამბულატორიის ექიმობით, სასტიკათ უნდა დაიცვან იქ შემოღებული წესრიგი. (2—1)

საქართველოს რესპუბლიკის მეაფთიაქეთა კავშირი

მოუწოდებს ყველა მეაფთიაქეს, რომელიც იმყოფება რესპუბლიკაში და რომელსაც ჰსურს შეიძინოს აფთიაქის საჭიროებისათვის სპირტი, შეიტანოს ამიერ-კავკასიის ბანკში: კავშირის მიმდინარე ანგარიშზე № 928 ფული ხუთასი მანეთი თითო ვედროზე. მსურველთ მიეცემათ ოთხი თვის ნორმა ერთდროულად. ყოველგვარი ცნობა ამ საქმის შესახებ აფთიაქებს შეუძლიანთ მიიღონ კავშირის კანტორაში, გოლოვინის ქუჩ. № 24, ტელეფონი 8—33. კავშირის თავმჯდომარე გ. ჯანელიძე. (1—1)

თელავის მაზრის ერობა

იწვევს სახალხო სკოლებისთვის ინსტრუქტორს. მსურველთ შეუძლიან მიმართონ თელ. მაზრის ერობის გამგეობას. საჭიროა წარმოდგენილი იყოს curriculum vitae. სამსახურის პირობები: თვეურათ 1500 მანეთი, დღიური მოგზაურობის დროს—30 მანეთი. (3—2)

ქუჩაში და მოედანზე ქალაქ თფილისში

14 თიბათვეს 1919 წ. 11 საათზე დილით

დღე არტისტებისა და მუსიკოსებისა

კონცერტი, წარმოდგენა, კაბარე, დეკლამაცია, შარჟი, ორკესტრი და სხ.

შეერთებული ორგანიზაცია, კომისია 2 კავშირისა.

დაწვრილებით იქნება აფიშაში. (3—3)

ამხანაგობა-„ერთობის“ სტამბა რუსთაველის, გუდოვიჩის შესახვევი № 1.